# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/73 "19" აგვისტო 201 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს დატვირთულობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად იმატა სასამართლოს შენობაში მომსვლელ მოქალაქეთა რაოდენობამ. აღნიშნულის გამო, სასამართლოს არსებული მისაღები, ფართის სიმცირიდან გამომდინარე, ველარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, რაც იწვევს სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას. არსებული ვითარება საჭიროებს სასწრაფოდ მოგვარებას, რა მიზნითაც მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილია სასამართლოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის აშენება. აღნიშნული საკითხის შემჭიდროვებულ ვადებში გადაწყვეტა დაჩქარებული წესით მოითხოვს ასაშენებელი შენობა-ნაგებობის დიზაინისა და საპროექტო სამუშაოების მომზადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის №9 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის" მე-14 მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი